საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

2238-გ-2-202208121311

N 2238-გ 12/08/2022

შპს „ალიანსი“- ს დირექტორს

ბატონ თემურ კანკავას

შეტყობინება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ბატონო თემურ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 24 დეკემბერს გაფორმდა № GOG/ET/CW/367 და № GOG/ET/CW/368 ხელშეკრულებები სსიპ„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდ“ -სა და შპს „ალიანსი“-ს შორის, რათა განხორციელებულიყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა გრაფიკის არსებითი დარღვევებით, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების ძირითადი ნაწილის შეუსრულებლობა, კერძოდ, დღეის მდგომარეობით სარეაბილიტაციო სამუშაოების მხოლოდ 64.93%-ი და 43.47%-ია შესრულებული, რაც თქვენი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევაა.

ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე არაერთხელ განხორციელდა თქვენი, როგორც სიტყვიერი ასევე, წერილობითი გაფრთხილება. თუმცა თქვენი დაპირების მიუხედავად ვერ უზრუნველყავით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, წინამდებარე შეტყობინებით, ხელშეკრულების პირობების თანახმად, კერძოდ, 13.1.2 და 13.1.4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ 2022 წლის 05 აგვისტოდან დაიწყო ხელშეკრულებების გაწყვეტის პროცედურები, (სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდ“-სა და შპს „ალიანსი“-ს შორის 2020 წლის 24 დეკემბერს გაფორმებულ №GOG/ET/CW/367 და №GOG/ET/CW/368 ხელშეკრულებებზე), ზემოხსენებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს რაიმე ქმედების განხორციელების, თანხების გადახდის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ შესასრულებელი რაიმე სხვა ვალდებულებებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

ასევე, ხელშეკრულების შეწყვეტა არ ზღუდავს დამკვეთის რაიმე უფლებას მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა, მოითხოვოს თანხა, პირგასამტეხლო ან/და აინაზღაუროს მიღებული ნებისმიერი ზიანი, ზარალი ან სხვა ხარჯი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენელი, რათა ხელი შეუწყოთ პროექტის ზედამხედველს იმოქმედოს ხელშეკრულების შესაბამისად და განახორციელოთ შეწყვეტის შემდგომი ყველა სხვა აუცილებელი ქმედება, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

გიორგი ციბაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია